ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №2

ქ. გურჯაანი 08 იანვარი 2020 წელი

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო, ერთის მხრივ, ა.ა.ი.პ. "გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანება", მისი დირექტორის ლელა თევდორაშვილის სახით (შემდგომში "შემსყიდველი") და მეორეს მხრივ, შპს „ნება", მის დირექტორ მერაბი კაჭკაჭიშვილის სახით (შემდგომში "მიმწოდებელი") აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს CPV კოდით: 15300000 ხილი, ბოსტნეული და მონათესავე პროდუქტების (ტომატ-პასტა 403,2 კგ) წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
ხელშეკრულების თანხა შეადგენს 2217,60 (ორიათასორასჩვიდმეტი ლ. 60 თ.) ლარს.

გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
1.1."ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომ – "ხელშეკრულება") – შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2."ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.3."შემსყდველი ორგანიზაცია" (შემდგომ "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.4."მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც შემსყიდველს აწვდის საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესაბამისად მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
1.5."დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. სტანდარტები

ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს მოლაპარაკების პროცესში მიღწეულ შედეგებს და სტანდარტებს.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1.შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი და/ან გამოცადონ საქონელი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.
3.2.მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.
3.3.მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, წუნდებული საქონლის შეცვლა და კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად დაზიანებული საცდელი ნიმუშების ღირებულების დაფარვა.
3.4.ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.
3.5.მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ ბაგა-ბაღების მენეჯერები, აღმზრდელები და ტექნიკური პერსონალი.

4. საქონლის მიწოდების პირობები

4.1.საქონლის მიწოდება განხორციელდება ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, ხელშეკრულების დადებიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
4.2. სახელშეკრულებო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

4.3.მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

5.1.შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება განხორციელდება ეტაპობრივად, საქონლის მიწოდებისას მიმწოდებელსა და შემსყიდველის უფლებამოსილი წარმომადგენლის შორის კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაციის გაფორმებით.

5.2.მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი, ყველა საგადასახადო დოკუმენტაცია.

6. ანგარიშწორება

6.1.ანგარიშწორება მოხდება უნაღდო ანგარიშწორებით ლარში.

6.2.ანგარიშწორება მოხდება ეტაპობრივად, ყველა კონკრეტული საქონლის მიწოდებისას კანონმდებლობის შესაბამისად ანაზღაურებისთვის საჭირო დამადასტურებელი დოკუმანტაციის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღეში.

7. ფასები

7.1. მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.

7.2. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

7.3.ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა ხდება მხარეთა შეთანხმებით.

7.4.ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდებასთან დაკავშირებული მომსახურებების სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 2217,60 (ორიათასორასჩვიდმეტი ლ. 60 თ.) ლარს.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1.არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შეთანხმების გარდა.

8.2.თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია 2(ორი) კვირით ადრე.

8.3.ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა და "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნის გათვალისწინებით

8.4.ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. უფლებების გადაცემა

9.1.მიმწოდებალმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი თავის ვალდებულებები მესამე პირს.

10. სუბკონტრაქტორები

10.1.ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბკონტრაქტორ(ებ)ის აყვანის ან შეცვლის შესახებ (სუბკონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინამდებარე ხელშეკრულების დამატების სახით.

10.2.ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტორის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

10.3.ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტორი არ ათავისუფლებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11. შეტყობინება

11.1.ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

11.2.შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1.ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0,02%-ს.

12.2.იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

12.3.საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

13.1.შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლებისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

13.2.ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულების შესრულებისგან.

13.3.შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

13.4.ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

14. ფორს-მაჟორი

14.1.ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

14.2.ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისათვის დამოუკიდებელ გარემოებებს, რომელიც არ არიან დაკავშირებილი შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებებს მკვეთრი შემცირებებით და სხვა.

14.3.ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზვნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი

მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხი, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15. სადაო საკითხების გადაწყვეტა

15.1.შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

15.2.თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულებაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

16. გამოყენებული სამართალი

16.1.ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

17. გადასახადები და დაბეგვრა

17.1.უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს მისაწოდებელი საქონლის წარმოებასა და მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლის და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

17.2.ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

18.1.წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან 2021 წლის 31 იანვრამდე.

19. სხვა პირობები

19.1.არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

19.2.მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

19.3.ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშერულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

19.4.გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ყველა სახის დოკუმენტაცია დანართების სახით ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

19.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, თუ შეტანილია წერილობითი სახით და ხელმოწერილია ორივე მხარის სრულუფლებიანი წარმომადგენლის მიერ.

შემსყიდველი: მიმწოდებელი:

გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანება ხაზინის ერთიანი ანგარიში: TRESGE 22 ა/ა GE24NB0330100200165022 ს/კ – 227767510	შპს "ნება" დ. აბასთუმანი, შ. რუსთაველის #64 სს „საქართველოს ბანკი" BAGAGE22 ა/ა GE52BG0000000767382200 ს/კ – 422722575

ხელმოწერით ვადასტურებთ:

გურჯაანის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი	შპს "ნება"-ს დირექტორი
ლელა თევდორაშვილი	მერაბი კაჭკაჭიშვილი

gurjaani municipality under school educational institutions union
Digitally signed by gurjaani municipality under school educational institutions union
Date: 2020.01.08 11:24:36 +04'00'

Merab Kachkachashvili
Digitally signed by Merab Kachkachashvili
Date: 2020.01.08 11:40:25 +04'00'